

მისი სახელი — თინათინ...

გუგინ...

თბილისში ჩამოვიდა ევროპის ჩემპიონი და რეკორდსმენი, ნიჭიერი ქართველი მოცურავე თინათინ ლეკვიშვილი. აეროდრომზე შეკრებილი საზოგადოება გულთბილად შეხვდა გამარჯვებულ სპორტსმენს, რომელმაც ასახელა საშობლო.

...მოცურავეთა, წყალში მსტომელთა და წყალბურთელთა წლებიან-დელ ევროპულ ჩემპიონატს ესპანელებმა კარგი მასპინძლობა გაუწიეს. მათ სპორტსმენებს ბარსელონის გარეუბანში ახალი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუზი — „ბერნარდო პიკორნელი“ დაახვედრეს. ამ აუზში უამრავი ეროვნული და ევროპული რეკორდი იშვა, მათ შორის, 6 მსოფლიო რეკორდი. მით უფრო სასიხარულოა, რომ უძლიერესებთან კიდედში ქართველმა ქალიშვილმა არაგვის დაუდო ტოლი და შედეგების მთელი კომპლექტი იგდო ხელთ (100 მეტრზე გულადმა ცურვაში — ოქრო, 4x100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში — ვერცხლი, 200 მეტრზე გულადმა ცურვაში — ბრინჯაო), თანაც, ერთი ევროპული და ერთი საკავშირო რეკორდი დაამყარა, ამავე დროს, კომბინირებულ ესტაფეტაში თავისი წვლილი შეიტანა სსრ კავშირის ახალი რეკორდის დამყარებაში.

მხატვარ გ. იაშვილის ნახატიც სწორედ თინათინს ეძღვნება, რომელმაც პირდაპირ მოხაზლა სტუმართმოყვარე ესპანელები.



... მისთა მხატვართა წაუზის გული, გონება და სული.

აკორეკვი
მორთვილომგარადი, 13 სექტემბერი. აქ ასპარეზობენ ხაბჭოთა ძალოსნები, რომლებიც ქვეყნის ნაკრებში ვერ მოხვდნენ. ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია სპორტსმენი „ზარის“ წარმომადგენელი ი. იაბლონოვსკი (მძიმე წონა): მან 108 კგ ავიმა და სახელგანთქმული ტალინელი ათლეტის ი. ტალტის მსოფლიო რეკორდი დაამხო. იაბლონოვსკიმ სამკვიდრე საუცხოო შედეგით გაიმარჯვა — 500 კგ.

პროკატორი ველო კავანისა, შვარტდითი

120

№ 182 (4176) 1970 წ. 16 სექტემბერი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან პრეზიუმის კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре в спорту при Совете Министров ГССР в республиканского Совета профсоюзов

ორსელი-სუფლებიანობა დაბთავრდა

რომბარდანი, 15 სექტემბერი. ევროპის კალათბურთელ ქალთა ჩემპიონატის პირველ შესარჩევ გულში გუშინ ორბელისფლებიანობა დამთავრდა: სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 77:41 (34:11) დაამარცხა საფრანგეთის ეროვნული გუნდი და ერთბაშად დაიკავა ლიდერი გარდა. ვაქმა რომ თქვას, თვით ფაქტი საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებისა არ არის გასაკვირი. ევროპის 9-ჯგის ჩემპიონმა გზიდან ჩამოცილა ერთ-ერთი საშიში მეტოქე და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა საბატიო ტიტულის შენარჩუნებისკენ. და მინც, ადგილობრივ პრესაში ფართო გამოხატულება პოვა ამ შეხვედრამ. რატომ?

საქმე ისაა, რომ საფრანგეთის გუნდი არასდროს ეკუთვნოდა ძველი სამყაროს საკალათბურთო ელიტას. იგი უფრო მეტად ჩრდილში იყო მოქცეული და თავისი მოკრძალებული როლით ემყოფილდებოდა. მართალია, ფრანგები კეთილსინდისიერად მონაწილეობდნენ ყველა აღმინდელ ჩემპიონატში (გარდა 1960 წლის პირველობისა), მაგრამ საპრინციპული არასდროს გასულან. ისინი ორჯერ (1938 და 1950 წ.წ.) IV ადგილზე იყვნენ, ორჯერ (1954 და 1958 წ.წ.) — VI, ორჯერ (1952 და 1956 წ.წ.) — VII, ერთხელ (1962 წ.) — VIII, ერთხელაც (1964 წ.) — X და ბოლო ორ ჩემპიონატში (1966 და 1968 წ.წ.) — XI ადგილებზე. წლებულს საფრანგეთის გუნდი სრულიად მოულოდნელად მრისხანე ძალად იქცა. ყოველ შემთხვევაში, სამი გამარჯვება სტარტზე (მათ შორის, პოლონეთის ძლიერ კოლექტივთან) იმის ნიშანია, რომ პოლონეთში ფრანგები სერიოზული გეგმებით ჩამოვიდნენ.

ამ პრინციპული ბრძოლის მოგება საბჭოთა გუნდს არ გასჭირვებია. 36-ქულიანი სხვაობით სწორედ ამის დასტურად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ევროპის ჩემპიონი ფრანგებთან ბატონი ყველაზე შეუპოვარ წინააღმდეგობის წააწყდა და ეს საგულისხმო ფაქტია. პირველ სამ მატჩში საბჭოთა ნაკრების თავდასხმამ საშუალოდ 90-90 ქულა აიღო, ახლა კი გაცილებით ნაკლები (77). ესეც რომ არა, მეორე ტაიმი ფრანგებმა საერთოდ 13 ქულის სხვაობით წააგეს, რაც ამჟამად საბატიო შედეგია.

როგორ წარმართება საფრანგეთის ნაკრების შემდგომი სიტუირიო გზა, ძნელი სათქმელია, მაგრამ პროგრესი უკვე ამჟამად და ამის ვერაგინ უარყოფს.

საბჭოთა კალათბურთელთაგან ამ დღეს ყველაზე აქტიური იყვნენ ზახაროვა და ბუბჩიკოვა, რომლებმაც თავიანთ კოლექტებს 12-12 ქულა შეესძინეს.

IV ტურში პოლონეთის სპორტსმენებმა დაამარცხეს ჩემპიონატის მასპინძლები — პოლონელები — 65:48.

● **ანგარა, 14 სექტემბერი.** მოფარიკავეთა აქ დაწვეული მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში სამი საბჭოთა რაპირისტი გავიდა — მსოფლიო ლ. რომანოვი, ნოვოსიბირსკელი ა. კოტეშვილი და ლავრენოვი ვ. სტანკოვიჩი. შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ 2-2 ნახევარფინალისტი ჰყავდათ რუმინეთის, პოლონეთისა და უნგრეთის გუნდებს. 12 მოფარიკავეს შორის, რომლებიც მდლებსთვის განაგრძობდნენ ასპარეზობას, უწოდდასხელებულთა გარდა იმრძოდნენ იტალიის, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თითო რაპირისტი. პირად ტურირში 9-ე კაცი მონაწილეობდა. შეჯიბრების პირველი ტური ხუთივე საბჭოთა მოფარიკავემ წარმატებით განვლო, მაგრამ მეორე ტურში ასპარეზობას გამოეთიშა მსოფლიო ოქტის წარმომადგენელი ვ. ლუკინჩენკო (მან ჯგუფში IV ადგილი დაიკავა), ხოლო მეოთხედფინალში საბჭოთა ნაკრებმა კიდევ ერთი დანაკლისი განიცადა: დამარცხდა კიეველი ვ. პუტიატინი. საბოლოოდ, მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა ფ. ვეხელმა (გვრ). ვერცხლის მედალს დაეპატრონა რომანოვი, ხოლო ბრინჯაოსას — პოლონელი მ. დობროვსკი. IV ადგილზეა კოტეშვილი.

● **არანს-და-მარტი, 14 სექტემბერი.** ბარსელონის მასლობლად მდებარე ამ პატარა ქალაქში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი „მფრინავი პოლონელების“ კლასში. შეჯიბრებაში მონაწილეობს 17 ქვეყნის 28 ეკიპაჟი, მათ შორის, 2 საბჭოთა გუნდი. ერთს მეთაურობს მოსკოველი აფროსანი ვ. ლიონტიევი, მეორეს — რიგელი ვ. კნაზევი. პირველი რბოლა დასავლეთგერმანულმა ეკიპამა მოიგო, რომელსაც ა. შვარცი თეკაცობდა. ორბეტივმა X ადგილი დაიკავა. ოლიმპიური ჩემპიონი რ. პატი-სონი (იხგლისი) V ადგილი დაეკავა.

● **ოსლო, 14 სექტემბერი.** შევეის ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ ანგარიშით 4:2 დაამარცხა ნორვეგიის ეროვნული გუნდი. ანგარიში ნორვეგიელმა ნილსენმა გახსნა, მაგრამ 25-ე წუთზე დანიელსონმა მასპინძელთა კარში საპასუხო ბურთი გაიტანა. ნორვეგიელები ამან არ შეპართ და მათ სულ მალე გაზარდეს კიდევ ანგარიში (ფულსეტი). შედეგმა მხოლოდ შესვენების შემდეგ შეძლეს ნორვეგიელთა წინააღმდეგობის დაძლევა და გამარჯვებასაც მიაღწიეს. ბურთები გაიტანეს სენსონმა (2) და ბროსკუმილმა. ეს იყო ამ ქვეყნების ნაკრები გუნდების 81-ე შეხვედრა. თამაში წვიმაში მიმდინარებდა 15000 მაყურებლის თანდასწრებით.

საქალი ანგარი

საუარეკაო ბილიჯა

„მფრინავი კოლანდიელები“

81-ე შეხვედრა

● **მბუტბარტი, 15 სექტემბერი.** მბლესნურ სუფობიში წლებიანდელი მსოფლიო სუფონის მეორე შედეგი აჩვენა ფფრის ჩემპიონატში მოასპარეზე პ. როზენდალმა. ამ 23 წლის

სპორტსმენმა 5398 ქულა დააგროვა (100 მეტრზე თარჯინი — 13,1 წამი, 200 მეტრზე რბენა — 23,1 წამი, სივრცეზე სტომა — 656 სმ, სიმაღლეზე სტომა — 170 სმ, ბირთვის კერა — 13,31 მ). II ადგილი დაიკავა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. მიკელიარ-ბეკერმა — 5282 (13,5; 23,5; 651; 170; 12,97).

● **ბონეაპი, 15 სექტემბერი.** კანადისა და ნორვეგიის მძლეოსანთა აქ გამართულ მატჩში ახალგაზრდა ჩ. ფრენსისმა, რომელსაც ცნობილი კანადელი სპრინტერის, რომისა და ტოკიოს ოლიმპიადების პრინციპის პ. ჯერომის მეგობრად

რედ მიჩნევენ, 100 მ 10,2 წამში გაიბრინა.

● **პარუაპი, 15 სექტემბერი.** პოლონეთისა და დიდი ბრიტანეთის მძლეოსანთა მატჩში 21 წლის ინგლისელმა დ. ბედფორდმა 10 კმ 28 წუთსა და 6,2 წამში გაიბრინა. ეს საუცხოო შედეგი სულ 1,8 წამით უარესია ი. პაანეს (გდრ) მიერ ორი წლის წინათ დამყარებულ ევროპულ რეკორდზე. ფინიშთან მეორე იყო გამარჯვებულის თანამემამულე რ. მეტიუსი — 23.85,4.

კოლუმბუსი, 15 სექტემბერი. პოლონეთის ძალოსნების ვეტერანმა, 33 წლის მ. ნოვაკმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ქვემსუბუქ წონაში, როცა საჭიდის წამში 392,5 კგ (127,5+115+150) დააგროვა. ვერცხლის ჯილდო დასაყურთა ნოვაკის თანამემამულე ი. ვინოვსკიმ — 385 კგ, ბრინჯაოსი — ვარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა, იაბონელმა ი. მიიკემ — 382,5 კგ. მაგრამ ექს-ჩემპიონს ეს მედალიც შეუპოვარ ბრძოლაში ხვდა. მიიკემ წონით ცოტა ნაკლები აღმოჩნდა უნგრელ ათლეტზე ი. ბენედეკზე, რომელმაც ასეთივე შედეგი აჩვენა სამკვიდრეში.

ქვემსუბუქ წონაში საბჭოთა სპორტსმენები არ გამოსულან.

„ლელოს“ 15 აგვისტოს ნომერში ასეთი სათაურით დაიბეჭდა რესპუბლიკის რაიონებიდან შემოსული 14-წერილის მიმოხილვა. ყველა წერილის ავტორი დახმარებას მოითხოვდა. ძირითადად მათი გულისტკივილი გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ აღვიღებზე არა აქვთ სპორტული მოედნები, ან მქონდათ, მაგრამ ადგილობრივი ხელმძღვანელებმა თვითნებობის შედეგად გადაიხნა; წერდნენ, რომ არსებული მაზრების ეთილმოწყობისთვის არაფერ ზრუნვას და ა. შ.


15 აგვისტოდან უკვე კარგა ხანი გავიდა, ყოველ შემთხვევაში, ზემოთხსენებულ ორგანიზაციის მიერ დაქანონებულ იმ 15 დღეზე მეტი, რა ვადაშიც ეს თუ ის ორგანიზაცია ვალდებულია პასუხი გასცეს მშრომელთა განცხადებას, გაზეთის მიერ გამოქვეყნებულ კრიტიკულ მასალას.

სამწუხაროდ, „ლელოს“ ფურცლებზე დაბეჭდილ საგანგაშო წერილებზე გამოხმაურება არავინ ისურვავს. ჩვენ კიდევ ერთხელ ვაფრთხილებთ სოფლების — სკოლების (ჭიათურა), ფარმის (ორჯონიძის რაიონი), ძარწემის (ცხინვალის რაიონი), პირველი მაისის (აბაშის რაიონი), თორისის (ხობის რაიონი), ოსანის (წითელი წყაროს რაიონი), ითხვისის (ჭიათურა), ხრესილის (ტყიბული), ნიწოშვილის (ლანჩხუთის რაიონი), ორბელის (თეთრი წყაროს რაიონი), ბესლეთის (სოხუმის რაიონი), თავილონის, ხაბერიოს, მხიურის, ნაბაკევის (გაღის რაიონი) თავაყცებს, რომ ღრთა მიღებულ ღონისძიებათა შესახებ შეგვატყობინონ. არც ის იქნებოდა ურიგო, თუ აღნიშნული რაიონების კომპარტიის რაიონები და ფიკულტურის კომიტეტები თავის შტაბს გადაემტკრელ ღონისძიებებს გაატარებდნენ და ამის შესახებ ცნობას მოგვავწყვიდნენ რედაქციას. სხვა რომ არაფერი უთქვამთ, ფიკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის ზრუნვა სწორედ ამ ორგანიზაციების დეპოლი საქმეა.

„SOS!“ — კვლავ მოგვადის საგანგაშო სიგნალები რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან. მშობილებული კორესპონდენტებმა კვლავ მოუღღის რედაქციას. გაგაცნობთ რამდენიმე მთავრს:

წერილი პირველი (ავტორები ი. დულუნიშვილი, დ. ბაქრაძე და სხვ. სულ 18 ხელმოწერა): „სოფელ დარკვეთის (ჭიათურა) ფეხბურთის მინდორი გადახნეს და, მოგესხებათ, ხელუფლებურთს არავინ თამაშობს. გთხოვთ დაგვემართო, რათა მოედნის მოსაწყობად ნაკვეთი გამოგვიყოს, ჩვენ კი თავად, საკუთარი ძალებით მოვაწყობთ მინდორს. მუშაობას არ დავიზარებთ.“

წერილი მეორე (მაიაკოვსკის რაიონის სოფელ კვემო დიშის ახალგაზრდები): „ჩვენში დიშის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდები დახმარებას ვთხოვლობთ. ოდესღაც ჩვენს სოფელში იყო ფეხბურთის ორი მინდორი, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობამ ერთის ადგილას გარაჟი წამოკიმა, მეორე კი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ზედმეტად ცნო და ტრაქტორით გადახნევინა. არის ერთი მინდორიც — სკოლის ეზოში, რომელიც დიდი



მესერთია შემოღობილი და მისი ჭიშკარი ჩვენთვის გამოკეტილია. სკოლის დირექტორი მ. ჩიქვინიძე და დარაჟი რ. მიქაშვილი ახალგაზრდებს ამ მოედანზე შესვლას უპირადადენენ. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას სპორტი ზედმეტ ფუფუნებად მიაჩნია.“

წერილი მესამე (ა. წულაია): „სამტრედიის რაიონის სოფელ ბუნჯულაურში ბევრი ახალგაზრდაა. მათ გატაცებით უყვართ სპორტი, განსაკუთრებით, ფეხბურთი, მაგრამ სტადიონი გადახნეს და ახლა ახალგაზრდებს თამაშის საშუალება არა აქვთ. გთხოვთ დაგვემართო სტადიონის აღდგენაში.“

წერილი მეოთხე (დმანისის რაიონის სოფლების დმანისისა და ვარდისუბნის ახალგაზრდები, სულ 18 ხელმოწერა): „ორ სოფელს ერთი სტადიონი გვაქვს, რომელიც მოთავსებულია საშუალო სკოლის ეზოში (აქ მ სოფლის ახალგაზრდები სწავლობენ), მაგრამ ამასაც გვართმევენ. და ეს ხდება იმის გამო, რომ კოლმეურნეობებმა სასოფლო საბჭოს არ გამოუყვეს ადგილი ახალი შენობისთვის. დავსტენთ იმასაც, რომ ამ სტადიონზე თავად ახალგაზრდები ვაწყობთ ხოლმე შეჯიბრებს. ისინი, ვისაც მოსახლეობაში ფიკულტურისა და სპორტის დანერგვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება, არავითარ სპორტანიალით მუშაობას არ ატარებენ. დაგვემართო!“

წერილი მესამე (გაღის რაიონის სოფელ გუდავის ახალგაზრდები): „სოფელში არც ერთი სპორტ-მოედანი არა გვაქვს. ამაში ბრალი მიუძღვის კოლმეურნეობის თავმჯ-

დომარეს ს. აქუბარდიანს, რომელიც სრულიად არ გვიწევს დახმარებას.“

წერილი მეხუთე (ბათუმის რაიონის სოფელ თხილნარის ახალგაზრდები): „რამდენიმე წლის წინათ სოფელში გვექონდა ფეხბურთის მინდორი, რომელიც ახალგაზრდობის ძალებით იყო მოწყობილი. შემდეგ სოფლის თავაყცების განქარაუვლებით სარბიელი გადახნეს და ზედ სასილოსე სიმინდი დათესეს. პირბა მოგვეცეს, ფეხბურთის ახალ მინდორს სოფლის ცენტრში მოგვწყობთ, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. ამჟამად სოფელში არის კალათბურთის ერთადერთი მოედანი, მაგრამ იქ არადადეგების პერიოდშიც კი არ გვიშვებენ. სკოლის დირექციამ და დარაჟმა ეს მოედანი შეუვალ ციხესიმაგრედ აქციეს. კოლმეურნეობას არ გაჩნია არავითარი სპორტინვენიტარი, არ მუშაობენ სექციები. წარმოადგინეთ, მაგდის ჩოგბურთის, ჭადრაკისა და შაშის სექციებიც კი არ არის შექმნილი. ფიკულტურის მეთოდისტიბად ინიშნებიან ისეთი პირები, რომლებსაც არ შესწევთ უნარი თავი გაართვან მოვალეობას. კოლმეურნეობა, ფაქტურად, არ მონაწილეობს სპორტულ შეჯიბრებებში და თუ მონაწილეობს, ისიც ერთეული ენთუსიასტების წყალობით, ყოველგვარი სპორტანიალით მუშაობის ჩაუტარებლად, მოუშაადებლად. ამიტომ, როგორც წესი, შედეგები ერთობ დაბალია. ეს საკითხი არავითხელ დავაყენეთ კომპარტიის კრებაზე და კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე, მაგრამ ამოდ. დაგვემართო!“

წერილი მეექვსე (თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები გ. კანანაძე, ს. ბაქანიძე, ი. მჭედლოშვილი): „თბილისის სტუდენტთა ქალაქის შემოგარენში არის ფეხბურთის მინდორი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, მაგრამ იქ სტუდენტებს ვერ ნახავთ. შავალიად, ფეხბურთის მინდორზე ყოველთვის ხვდადახვა კლუბის ფეხბურთელები ვარჯიშობენ და თუ სტუდენტები დავაპირებთ თამაშს, მწვრთნელები გვიშლიან. საინტერესოა, ჩვენ ვუშლით ხელს მათ, თუ ისინი — ჩვენ? გარდა ამისა, სტადიონი კეთილმოწყობილია, გთხოვთ დაგვემართო ერთი საქმის მოგვარებაშიც: საქირთა სტუდენტთაქმის სამმართველომ შეიძინოს ტანვარჯიშის ინვენტარი და სავარჯიშოდ სათანადო ადგილიც გამოყოს.“

ვფიქრობთ, დღეს დაბეჭდილი 7 წერილი კომენტარებს არ საჭიროებს. რედაქცია კვლავ ელის პასუხს აღნიშნული ორგანიზაციების ხელმძღვანელოდან მიღებული ღონისძიებების შესახებ.




გაიცანით — „ოლიმპიური მესიკო“

ქარბა ხანია, რაც მესიკოს ოლიმპიური თამაშები ისტორიის კუთვნილება გახდა. ახლა უფრო მეტს ლაპარაკობენ მიუნხენის ოლიმპიადაზე, რომელიც 1972 წელს უნდა ჩატარდეს, მაგრამ სპეციალისტებისთვის და საერთაშორისო სპორტის ისტორიკოსთათვის მესიკოს სტარტების ანალიზს აქტუალობა ჯერაც არ დაუკარგავს. გულდასმით შეისწავლება მძლეოსანთა და მოცურავთა შედეგები, ვინაიდან სწორედ ამ სახეობათა წარმომადგენლებმა ისახელეს თავი აცტეკთა მალაქმითან დედაქალაქში: ყოველმხრივ მოწამდება მსოფლიოთა, ტანვარჯიშთა, ნიჩბოსანთა, ძაღოსანთა, ველოსიპედისტთა და სხვათა სატურნირო შედეგები და ცალკეული მაჩვენებლები. ერთი სიტყვით, მესიკოს ოლიმპიადა დღესაც სპორტული სამყაროს ყურადღების ცენტრშია და ასე იქნება მანამ, სანამ მას ესტადიონს არ ჩამოართმევენ ოლიმპიური მიუნხენი.

გრი უნიკალური სტატისტიკური ცნობა როგორც მესიკოს, ისე საერთოდ ოლიმპიურ თამაშებზე.

ალბომის მთავარი ღირსება ისაა, რომ ფოტოილუსტრაციები და ტექსტი უშუალოდ პირველ პირთა ხელიდანაა მიღებული: მესიკოსში



აკრედიტებულ უფროსი სტატიის ავტორის იყენენ „ლელოს“ კორესპონდენტებიც. ნ. გუგუშვილი და მ. ზარგარიანი, რომლებმაც ითავის ოლიმპიადაზე ამ სახარგებლო და უდავოდ საინტერესო წარმომადგენლების შექმნა.

ალბომში შექმნილია გარდადგამოცემულია საბჭოთა სპორტსმენების წარმატებები, მაგრამ აქცენტი, თავისთავად ცხადია, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებზეა დასმული. აქ თქვენ ნახავთ შეტად საინტერესო მომენტებს ვ. სანეივის, რ. რურუას, ზ. საკანდელიძის, დ. შანდის, შ. ლომიძისა და სხვათა სპორტული გამოსვლებიდან.

ალბომი ღირს 1 მან. და 85 კაპ.

სპორტული დღესასწაული

ახმეტის სტადიონზე ორ დღეს გასტანა სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის დათვლიერებამ, რომლის მიზანსაც კომპარტიული და ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სტრატეგიებით აღზრდა და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება შეადგენს. დონისძიებაში ახმეტის რაიონის 40-ზე მეტმა ფიკულტურულმა კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა. სულ სარბიელზე გამოვიდა 800-მდე ქალიშვილი და ქაბუკი. პირველ დღეს ერთმანეთს გობრებოდნენ საწარმო-დაწესებულებების კომპარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ხოლო მეორე დღეს სარბიელის მოსწავლეებს დაეთმოთ. გაიმართა შეჯიბრებები მჭლოკსობაში, ხელუფობის ტყორცნაში, ბაგირზე ცოცვაში, მცირეკალიბრანი შაშხანით სროლაში.

მძლო-ინსტრუქტორთა ხელმძღვანელობით მოსწავლეები გამოცადეს მანქანის მართვაში, მოეწყო რადიო-ტელეგრაფის გადაცემებისა და სამოქალაქო თავდაცვის პრაქტიკული სემინარები. 100 მეტრზე მორბენალ ქაბუკთა შეჯიბრებაში და სიგრძეზე ხტობაში 1 ადგილი მოიპოვა ზემო ალვანის საშუალო სკოლის მოსწავლემ გ. ყიზილაშვილმა — 11,8 წამი და 620 სმ. გოგონათა შორის ამავე სახეობაში ჩემპიონი გახდა ახმეტის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლე ლ. ჭიხარაძე — 14,6 და 470. ხელუფობის ტყორცნაში ერთნაირი შედეგი (16 მ) აჩვენეს საკობიანოვლმა ე. გაბუაშვილმა და დუისელმა ა. მეთოშვილმა. ამ მასობრივმა ღონისძიებამ მრავალ ქალიშვილსა და ქაბუკს მისცა მშობ და „მზად ვარ სამშობლოს დაცვისთვის“ კომპლექსების

ნორმატივების ჩაბარების საშუალება.

სპორტული დღესასწაული დამთავრდა ახმეტის „ბაბტრონისა“ და წალკის „მშენებლის“ ფეხბურთელთა ვენდების მატჩით საქართველოს პირველობაზე.

სურათებზე: მძლო-ინსტრუქტორი თ. ქინჯარაული და ახმეტის 1-ლი საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე თ. იმედაშვილი მანქანის საკვების; მოსწავლეები ცეცხლის ხაზზე; „ბაბტრონის“ კაპიტან ს. ფშველაშვილს თავით გააქვს ბურთი წალკელთა კარში (მატჩის ანგარიშია 1:1).

ა. კომარაშვილი. (ჩვენი სპეც. კორ.) ახმეტა.


„ლელოს“ წერილობითი კორესპონდა


„სსსრკოლ სწარუბათი ადრეპრი“

„ლელოს“ 18 აგვისტოს ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნდა წერილი, რომელიც მხილებული იყო გაგრის რაიონის „კოლმეურნის“ ზოგიერთი ფიკულტურული ორგანიზაციის ჩამორჩენა.

როგორც საქართველოს კვ გაგრის რაიონის მდივანმა გ. ციციშვილმა რედაქციას აცნობა, წერილი მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. რაიონის ბიურომ განიხილა რაიონში სპორტულ-მასობრივი მუშაობის საკითხი და აღნიშნა „კოლმეურნის“ ძირითადი კოლექტივების საქმიანობის დაბალი დონე. აღნიშნა ისიც, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არ არის კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები.

დასახული კონკრეტული ღონისძიებები რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სპორტულ-მასობრივი მუშაობის საფუძვლიანად გასაუმჯობესებლად.





სსრ კავშირის პირველობა

სსრ კავშირის პირველობა

დონეცკი, 14 სექტემბერი. დღეს აქ ადგილობრივმა „შახტიორმა“ მიიღო „ჩერნომორეცი“ გამარჯვება წილად ხვდათ დონეცკელებს (3:1), რომელთა მხრივ ბურთები გაიტანეს იარეზნიკოვ (2) და კიკოტა. ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორია „ჩერნომორეცის“ ცენტრალური თავდასხმელი სეკაჩი (პენალტით).

„ქ“ ქვესი


11 ზონის I კვატრანტი

„ეგრისის“ გამარჯვება

დიდწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება ფიზკულტურის კოლექტივების გუნდებს შორის. საქართველოს თასის მფლობელა — ცხაკაიას „ეგრისს“ პირველი მატჩი 12 სექტემბერს ჰქონდა უსტკამენოგორსკში, იქაურ ფეხბურთელებთან.


უნგრეთის განახლებული ნაკრები

უნგრეთის ნაკრების ახალი ხელმძღვანელი ი. პოფერი სრულიად განახლებულ გუნდს ქმნის. ძველი ნაკრებიდან მასში დღეს რამდენიმე მოთამაშე დარჩა. ერთი მათგანია ბანჩიჩი, რომელიც ცენტრალურ მცველად ითვლება, მაგრამ საქმე ისე წარმართა, რომ ნაკრები ეტყობა კარგა ხნით ვერ გამოიყენებს ბანჩიჩს. საქმე ისაა, რომ ამ ფეხბურთელმა გადაწყვიტა მიატოვოს „ფერენცვაროში“ და „უნივერსიტეტი“ გადავიდეს. ამ შემთხვევაში კი, უნგრეთში მოქმედი კანონით, მოთამაშე ერთი წლით ტოვებს ნაკრებს.



ერთი დაბრკოლებაც გადალახულია!

ო. გელაშვილის ფოტო.



ქვესილტონ-რასელის თასის მატჩებელი

დასავლეთ გერმანიის ქალაქ ზიგენში გუშინწინ დამთავრდა XIX საფორთეო ოლიმპიადის ნახევარფინალური ტურნირები, რომლებშიც ხუთი ვინტინენტის 60 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ფინალში ჰაილ-ტონ-რასელის თასისთვის ბრძოლის უფლება მოიხვეჭეს სსრ კავშირის, ესპანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, არგენტინის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იუგოსლავიის, კანადისა და ბულგარეთის გუნდებმა.

შეხვედრა ყველა მონაწილე, გარდა იმ გუნდებისა, რომლებიც უკვე შეხვედრებს ერთმანეთს ნახევარფინალში. ნახევარფინალური მატჩის ანგარიში ფინალში გადადის. იმ, ეს შედეგებიც: სსრ კავშირი — ესპანეთი 3:1, გერ — აშშ 2:5,1:5, უნგრეთი — რუმინეთი 2,5:1,5, ჩეხოსლოვაკია — არგენტინა 2:2, ბულგარეთი — გერ 2:2, იუგოსლავია — კანადა 2,5:1,5.

ფინალი უაღრესად საინტერესო იქნება. რა თქმა უნდა, გუნდების ლიდერთა (პირველი დაფა) ტურნირი, რომელშიც ერთმანეთს შეხვედრებიან შოვლო ჩემპიონი სპსკი (სსრ კავშირი), დილსტატები ფიშერი (აშშ), პომარი (ესპანეთი), ულმანი (გერ), პორტო (უნგრეთი), გეორგიუ (რუმინეთი), პორტი (ჩეხოსლოვაკია), ნაიდორფი (არგენტინა), უნიციერი (გერ), ზობო-ცოვი (ბულგარეთი), გლიგორიჩი (იუგოსლავია) და სეერთაშორისო ოსტრატო იანოვსკი (კანადა) განსაკუთრებულ ყურადღებას მიიქცევს.


გუნდს უწინასწარმეტყველებს. მართალია, საბჭოთა ნაკრები უძლიერესია, მაგრამ სხვა ქვეყნების გუნდებიც საკმაოდ დაწინაურდნენ. ამიტომ ფინალში ბრძოლა უშუალოდ იქნება.

ოლიმპიადის ირგვლივ

ერთხელ „გვაწყინა“

ნაილორფი არ ცხრება

„ეს ბობისბანაა!“



ესაც სარბიელი

მას ასე სიამოვნებს

საბჭოთა „კაიზერ“

ბამოსავალი ნახა

ქ. აველანეი — კრეზიდენტოვის კანდიდატი

ტოსტაო მთვარეობს

მიფლინი ბრეზილიაში

არავითარი უცხოელები!

მთავარი მეტოქა ...ქარი

ზღაღი, 14 სექტემბერი. კიეველმა ა. ხმელნიცკიამ, მოსკოველმა თ. კოსოვსკიამ, ბარნაულელმა ლ. ერიომინამ და ჩებოტსარელმა მ. კოსტინამ საპარაშუტო სპორტის ოსტატთა მსოფლიო ჩემპიონატში ვერცხლის მედალები მოიპოვეს 1000 მეტრიდან ჩვეულებრივ სტილში. ამ ვარჯიშში პირველობა ხვდათ ფრანგ სპორტსმენებს. 111 ადგილზე არიან ბულგარელები.

პარაშუტისტები დიდხანს და შეუბოვრად ებრძოდნენ... ქარს. ბოლოს ჩემპიონატის ორგანიზატორებმა შეძლეს შეეწყალებინათ 1000 მეტრიდან დაშვების სისუსტეზე საპარაშუტო შედეგები. 4 ნახტომის გამო ვაჟთა შორის საუკეთესო შედეგი აქვს აშშ-ს წარმომადგენელ ლ. რისსს. მისი ნახტომის საშუალო გადახრამ წარს ცენტრიდან 12 სმ შეადგინა. ვერცხლის მედალი მოიპოვა გორაკელმა ვ. შარაბანოვმა — 14 სმ, ბრინჯაოსი — პოლონელმა ბ. სიდორმა.

ქალებიდან ბევრმა ვერ შეძლო ალბების ვერაც ქარებთან ბრძოლა.

იუგოსლავიის ლამაზი ქალაქი ბლედი ოულის ატმოსფერულ სილამაზაში განლაგებული, სადაც ხშირად მოულოდნელად მოულოდნელად ჩაერთვება ჩვეულებრივი პარაშუტის მძლავრი ნაკადები. 111 ადგილზე გასტუმრდა მსოფლიო ბოლესმატე კი წრის ცენტრიდან 101 სმ საშუალო გადახრა არცაა, მსოფლიო რეკორდი კი 0,00 მეტრს უდრის...

გამარჯვება ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენმა ზ. ზარიბნიცკამ — 0,30 მ. ვერცხლის მედალი ხვდა ფრანგ ბ. სტაუსს — 0,82.

შაბათს „ლესჩეს“ აეროდრომზე მზე გამოვიდა. მსაჯთა კოლეგიამ გადაწყვიტა ჩაეტარებინა შეჯიბრება ადრე გადადებული ვარჯიშში — 2000 მეტრიდან აქრობატული ელემენტებით სტილში. მაგრამ პარაშუტისტებმა თითო ნახტომის შესრულებაც ვერ მოასწრეს (პარაგრაფი სამ ნახტომს ითვალისწინებს), რომ ამინდმა ისევ ჭირვეულობა დაიწყო. ჩემპიონატი 20 სექტემბერს უნდა დაითავრდეს.

მესტრეუკა პაქრობა ლაპთაპკის

ზუპარსტი, 14 სექტემბერი. ვეროპის ჩემპიონატში აქ მოსაპარეზე საბჭოთა მესტრეუკებმა ადგილიდან სროლაში კარგად გამოსვლის შემდეგ მოულოდნელი მარცხი იწვნეს მრავალ სტენდზე. აქ მხოლოდ როსტოველმა ლ. გურვიჩ-კორჩინსკიამ მოიხვეჭა უძლიერესის სახელი, დანარჩენებს კი ხველი მოეცარათ. II ადგილზე გავიდა ნორვეგიელი კ. ლინდენი — 131 ქულა (იგი გამარჯვებულს ძალიან ჩამორჩა: როსტოველმა ხომ 150 მფრინავი თუფშიდან მხოლოდ 6 დატოვა მთელი). III ადგილზე ფრანგი ვ. მიშელი — 129.

ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა პოლონელი ა. სხარსკი — 196 ქულა 200-დან. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მოსკოველმა ვ. პეტროვმა ვერცხლის მედალი მოიხვეჭა, მისი ვერცხლის მედალი დაეკარგა ვერცხლის მედალი მოიხვეჭა, ძირითადი შეჯიბრების შემდეგ მეტოქეებმა 195-195 ქულა დააგროვეს, მაგრამ გადამწყვეტ სერიოზი ვერცხლის მედალი მოიხვეჭა ადგილიდან მისიანს, პეტროვმა კი ყველა 25 თუფში გატეხა. IV ადგილზე გავიდა მსოფლიო ჩემპიონი ი. ცურანოვი (ხვერდლოვსკი) — 194 ქულა, V — ალმააიელი ვ. სეროვი — 193.

იუნიორთა შორის თავი გამოიჩინა შედემა კ. სამუელსონმა — 146 ქულა 150-დან. ლენინგრადელი თ. გროზმანი მეოთხეა (144).

მრავალ სტენდზე სროლის გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ ვერცხლის მედალი მოიხვეჭა — 574 ქულა. II ადგილზე არიან პოლონელები (573), III — იტალიელები (570) და მხოლოდ IV — სსრ კავშირის მესტრეუკები (565).

პარიზი, 14 სექტემბერი. საფრანგეთის დედაქალაქის „კოლომბის“ სტადიონზე დამთავრებულ I ვეროპულ ჩემპიონატში ისევ გდრ-ის მძლავრებმა — ამჯერად ამ ქვეყნის იუნიორებმა ისახელეს თავი: მათ შინ წაიღეს ოქროს 10, ვერცხლის 4 და ბრინჯაოს 9 მედალი.

საბჭოთა იუნიორებმა ოქროსა და ვერცხლის 7-7 და ბრინჯაოს 8 მედალი დაისაკუთრეს. განსაკუთრებული წარმატება ხვდა დონეცკელ ვ. პოლუხინსს, რომელმაც სამსტომში გამარჯვების შემდეგ ყველას აჯობა სიგრძეზე სტილშიც — 787 სმ.

აიტიდელთა შეჯიბრებაში საუკეთესო იყო ირკუტსკელი ა. ბლინაივი — 7632 ქულა. 400 მეტრზე თარჯნებში მაღალი შედეგიტი გამოარჯვა ლენინგრადელმა დ. სტუკალოვმა — 50,2 წამი. აქ მეორე იყო ფრანგი პერო (50,3), მესამე კი ისევ საბჭოთა მძლავრები — დონეცკელი ვ. გავრილენკო — 50,6. ოქროს კიდევ ორი მედალი საბჭოთა სპორტსმენებმა 4x100 (40,1 წამი) და

4x400 მეტრზე (3.11,2) ესტაფეტებში მოიხვეჭეს.

ვერცხლის მედალები დაისაკუთრეს: კიეველმა ს. გონტოვსკიამ (სიმაღლეზე სტილში — 174 სმ), ლატვიელმა ი. ვიტანემ (ხუთბიდი — 4482 ქულა), მსოფლიო ოლქის წარმომადგენელმა ვ. ზიმინმა (800 მეტრზე რბენა — 1.51,3), რიაზანელმა ა. მაკაროვმა (შუბის ტყორცა — 74,92 მ), მინსკელმა ა. კიდიხმა (200 მეტრზე რბენა — 21,7 წამი) და ლენინგრადელმა ა. სპირიდონოვმა (უროს ტყორცა — 64,88 მ).

ბრინჯაოს მედალები მიიღეს: ჩებოტსარელმა მ. ალექსეევმა (10 კილომეტრზე სპორტული სიარული — 44.19,4), სიმფეროპოლელმა ი. კორჩენკოვმა (3000 მეტრზე რბენა — 8.11,0), ივანოვოელმა ვ. ვინაგარტენმა (800 მეტრზე რბენა — 2.06,3), მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ი. სპრონოვამ (ბადროს ტყორცა — 47,50 მ), ვიტებსკელმა ს. კოროვიმმა (200 მეტრზე რბენა — 21,7 წამი) და ჩელიაბინსკელმა ს. კობოტოვმა (უროს ტყორცა — 64,32 მ).

ფორსტ-ჰილი, 14 სექტემბერი. აქ დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების ლია ჩემპიონატი ჩოგბურთში. ვაჟთა ერთეულების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ავსტრალიელები კ. როსოლი და ტ. როი. 35 წლის როსოლიმ შეასაბურთა გამძლეობა, ბრწყინვალე ტექნიკა, გამარჯვებისკენ დაუცხრომელი ლტოლვა გამოავლინა და 14 წლის „მესვენიების“ შემდეგ კვლავ მოიპოვა აშშ-ს ჩემპიონის წოდება — დაამარცხა თავისზე 10 წლით უმცროსი როი — 2:6, 6:4, 7:5, 6:3 (წინა შეხვედრაში როსოლიმა სძლია უიშბლდონის ტურნირის ჩემპიონს, ავსტრალიელ ვ. ნიუკომბს — 6:3, 6:4, 6:3).

ქალთა შორის ყველას აჯობა 28 წლის მ. კურტმა (ავსტრალია), რომელმაც ფინალში დაამარცხა ამერიკელი რ. კაზალსი — 6:2, 2:6, 6:1. ამ გამარჯვებით კურტმა დაიმსახურა „დიდი მუზარადი“ — პრიზი, რომელიც ეძლევა ავსტრალიის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და უიშბლდონის ტურნირებში გამარჯვებულს. ამ შესანიშნავი სპორტული ნადავლის მთავარი მანამდე მხოლოდ ერთმა ჩოგბურთელმა ქალმა შეძლო. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ კურტმა წლებულს ოც შეჯიბრებაში გაიმარჯვა.

ვაჟთა წყვილებში I ადგილი დაიკავეს ჟ. ბარტემ (საფრანგეთი) და ნ. პილიმმა (იუგოსლავია). ფინალში მათი გამარჯვება მოულოდნელი იყო, ვინაიდან ამ ინტერნაციონალურ დუეტს მეტად ძლიერ წყვილთან — ავსტრალიელებთან რ. ლეიფერთან და რ. ემერსონთან ჰქონდა საქმე. ფინალის ანგარიშია 6:3, 7:5, 4:6, 7:6.

ქალთა წყვილებში ყველას აჯობეს კურტმა და მისმა თანამემამულემ ჟ. დალტონმა (ტეგარტი). გადამწყვეტ მატჩში მათ ფარ-ხმალი დააყრდენეს კაზალსსა და ინგლისელ ვ. უეიდს — 6:3, 6:4.

მესამე გამარჯვება კურტმა ამერიკელ მ. რისხთან შერეულ წყვილში იხიმა. ამ დუეტმა ფინალში სძლია დალტონსა და სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელ ფ. მაკმილანს.

მარბარეტ კურტის „დიდი მუზარადი“

მას შემდეგ, რაც კვიბატუნელმა ქირურგმა კრისტინ ბერნარდმა გულის გადანერგვის პირველი ოპერაცია გააკეთა, იგი მთელმა ქვეყანამ გაიცნო. ბერნარდი თანამედროვე ადამიანია, ბერის მოგზაურობის, კითხვობის, მუშაობის, მაგრამ მთლიანად არასდროს არ ეთიშება ამ ქვეყნიურ ცდუნებებს, რომელთა შორის უმთავრესად სპორტი მიაჩნია.

იყო დრო, როცა ბერნარდი თავდავიწყებით დასდევდა ტყავის ბურთს. შემდეგ იგი ქირურგიამ გაიტაცა და აქტიური ფეხბურთელი ამ სახეობის გულშემატკივართა ბანაკში გადაბარდა, თუმცა თავის ადრინდელ ტრფიას იგი დროდადრო ახლაც იხსენებს.

ვეროპაში მოგზაურობის დროს ბერნარდმა რამდენიმე დღე იტალიაში დაჰყო, რეპორტიორებმა, რომლებმაც იცოდნენ მისი ახალგაზრდული გატაცების ამბავი, ბერნარდს სთხოვეს ერთ-ერთ კალენდარულ მატჩში პირველი დარტყმა შეესრულებინა. როგორც ხედავთ, ქირურგმა არ გააწილა მთხოვნელები და საკმაოდ კვალიფიციურად შესრულა საპატიო დავალება.

მზბი ძლიერთა და გაბეულთა სპორტია. ამ ერთი მხარეც რეგბი ძლიერთა და გაბეულთა სპორტია მანამ, სანამ საერთოდ სპორტული თამაშის ჩარჩოებშია მოქცეული. მაგრამ რეგბის თავისებურება სწორედ ისაა, რომ იგი ასევე ადვილად შეიძლება გადაიქცეს ცემა-ტყეპის თავისებურ ფორმად, თუ, რა თქმა უნდა, სპორტსმენებმა გასაქანი მისცეს თავიანთ გრძობებსა და ემოციებს. ეს ფოტო საფრანგეთის რეგბისტთა ცხოვრებიდანაა აღებული. ამ საანაბრის რეგბი მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს. ცემა-ტყეპის ხელოვნება კი ამ კონკრეტულ სიტუაციაში უმაღლეს დონეზეა აყვანილი.

სანაბრის ფინალი სავსებით ლოგიკურია: დასაძირებული სპორტსმენები, კოსპიტალი და, უკეთეს შემთხვევაში, რამე მსუბუქე ტრავმა. გაიგოს კვირა, მეორე, და პოსპიტლიდან გამოსული რეგბისტი ისევ დაუბრუნდება თავის კლუბს, სტადიონს, რათა ერთ მშვენიერ დღეს თანამედროვე გლადიატორთა ახალი შეტაკების მსხვერპლი გახდეს.



ქპ ანეტილის სახელთან პროფესიული ველსპორტის ბერნი ბრწყინვალე ფურცელი დაკავშირებული, ამჟამად კი იგი შეჯიბრებებში აღარ მონაწილეობს. წლებადღულ „ტურ დე ფრანსს“ ჟაკ ანეტილი თან ახლდა სპორტული კომენტატორის როლში. ამბობენ, ანეტილს საფრანგეთის ერთგული ნაკრების მწვინელების პოსტი შესთავაზეს, მაგრამ, კაცმა არ იცის, მიიღებს თუ არა იგი ამ წინადადებას. რატომ?

საქმე ისაა, რომ ანეტილს ახალგაზრდობაშივე აღმოაჩნდა ბიზნესის ნიჭი და თავისი სპორტული საქმიანობა სწორედ კომერციის გზით წარმართა. იგი დღეს ბევრ მსხვილ საწარმო-სახანა დაკავშირებული და, როგორც ჩანს, ახალგაზრდების წვრთნისთვის დროს ასე იოლად ვერ გამოხატავს. ყოველ შემთხვევაში, ამ წინადადებას ცნობილი ფურცელი და ბიზნესმენი ძნელად არჩევანის წინაშე დააყენა. სანეტერესოა, გადასძლევს თუ არა სახელგანთქმული ველსპორტის სპორტის სიყვარული მის ფინანსურ გატაცებებს?

მზბი ძლიერთა და გაბეულთა სპორტია. ამ ერთი მხარეც რეგბი ძლიერთა და გაბეულთა სპორტია მანამ, სანამ საერთოდ სპორტული თამაშის ჩარჩოებშია მოქცეული. მაგრამ რეგბის თავისებურება სწორედ ისაა, რომ იგი ასევე ადვილად შეიძლება გადაიქცეს ცემა-ტყეპის თავისებურ ფორმად, თუ, რა თქმა უნდა, სპორტსმენებმა გასაქანი მისცეს თავიანთ გრძობებსა და ემოციებს. ეს ფოტო საფრანგეთის რეგბისტთა ცხოვრებიდანაა აღებული. ამ საანაბრის რეგბი მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს. ცემა-ტყეპის ხელოვნება კი ამ კონკრეტულ სიტუაციაში უმაღლეს დონეზეა აყვანილი.

სანაბრის ფინალი სავსებით ლოგიკურია: დასაძირებული სპორტსმენები, კოსპიტალი და, უკეთეს შემთხვევაში, რამე მსუბუქე ტრავმა. გაიგოს კვირა, მეორე, და პოსპიტლიდან გამოსული რეგბისტი ისევ დაუბრუნდება თავის კლუბს, სტადიონს, რათა ერთ მშვენიერ დღეს თანამედროვე გლადიატორთა ახალი შეტაკების მსხვერპლი გახდეს.

მზბი ძლიერთა და გაბეულთა სპორტია. ამ ერთი მხარეც რეგბი ძლიერთა და გაბეულთა სპორტია მანამ, სანამ საერთოდ სპორტული თამაშის ჩარჩოებშია მოქცეული. მაგრამ რეგბის თავისებურება სწორედ ისაა, რომ იგი ასევე ადვილად შეიძლება გადაიქცეს ცემა-ტყეპის თავისებურ ფორმად, თუ, რა თქმა უნდა, სპორტსმენებმა გასაქანი მისცეს თავიანთ გრძობებსა და ემოციებს. ეს ფოტო საფრანგეთის რეგბისტთა ცხოვრებიდანაა აღებული. ამ საანაბრის რეგბი მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს. ცემა-ტყეპის ხელოვნება კი ამ კონკრეტულ სიტუაციაში უმაღლეს დონეზეა აყვანილი.

სანაბრის ფინალი სავსებით ლოგიკურია: დასაძირებული სპორტსმენები, კოსპიტალი და, უკეთეს შემთხვევაში, რამე მსუბუქე ტრავმა. გაიგოს კვირა, მეორე, და პოსპიტლიდან გამოსული რეგბისტი ისევ დაუბრუნდება თავის კლუბს, სტადიონს, რათა ერთ მშვენიერ დღეს თანამედროვე გლადიატორთა ახალი შეტაკების მსხვერპლი გახდეს.



რედაქტორი მ. კაბაბაძე.

გლდანის №1 სპორტულ სკოლა-ინტერნატი მისაღები გამოცდები ასეთი გრაფიკით ტარდება:

მშელონობაში — 21 სექტემბერს,
ველოსპორტსა და ჭილაობაში — 22 სექტემბერს,
ფეხბურთში — 23 სექტემბერს.

მისამართი: თბილისი, გლდანის №1 სპორტული სკოლა-ინტერნატი, ტელეფონი 68-29-59.
დირექტორი.